

მუხუდოს მოვლა-მოყვანის მოკლე ცნობარი

ადგილი თესლბრუნვაში

მუხუდოსათვის საუკეთესო წინამორბედი არის ყველა კულტურა გარდა პარკოსანი კულტურებისა. ხოლო თვითონ მუხუდო საუკეთესო წინამორბედია ყველა კულტურისათვის გარდა პარკოსნებისა. ის ამდიდრებს ნიადაგს აზოტოვანი შენაერთებით და სხვადასხვა მიკრო და მაკრო ელემენტებით.



ნიადაგის დამუშავება

მუხუდოს, როგორც საშემოდგომო კულტურისათვის ნიადაგის მომზადება თესვისათვის უნდა დაიწყოს წინამორბედი კულტურისგან ნაკვეთის გათავისუფლებისთანავე. სასურველია, ნაკვეთი გასუფთავდეს წინა კულტურის ნარჩენებისაგან. ჩატარდეს ნიადაგის აჩეჩვა (სარეველების გამოტყუების მიზნით, რადგან სარეველები წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს ამ კულტურისთვის).

მუხუდოსათვის ნიადაგის ხვნა უნდა ჩატარდეს 25-30 სმ სიღრმეზე. თესვის წინ აუცილებელია ნიადაგის დაკულტივატორება და გაფხვიერება. უნდა ჩატარდეს ნიადაგის ქიმიური ანალიზი და ამის მიხედვით მოხდეს ნიადაგის განოყიერება. მუხუდოს კულტურა არ მოითხოვს დიდად განოყიერებულ ნიადაგს, ის ვერ იტანს სიღნარ და ძალიან მჟავე ნიადაგებს. თუ საჭიროება მოითხოვს მინერალური სასუქების შეტანა მოზანშეწონილია თესვის დროს მწკრივებში თესვასთან ერთად.

თესვა

სათესლედ გამოყენებულ უნდა იქნეს მაღალხარისხიანი სათესლე მასალა, რომელიც რეკომენდირებულია ამა თუ იმ რეგიონისთვის. თესვის წინ უმჯობესია დამუშავდეს სათესლე მასალა მუხუდოს სპეციალური ნიტროგენით.

თესვის დრო

მუხუდოს თესვის საუკეთესო დროდ მიჩნეულია ზამთრისპირა თესვა ნოემბრის შუა რიცხვებიდან, თესვის დაგვიანების შემთხვევაში სასურველია თესვა ჩატარდეს მარტის პირველი დეკადის ჩათვლით. არსებობს მუხუდოს საგაზაფხულო ჯიშები, რომელთა თესვა წარმოებს ადრე გაზაფხულზე. მუხუდოს თესვის ნორმა ჯიშების მიხედვით მერყეობს 80-დან 120 კგ/ჰა-ზე.

თესვის წესი

თესვის წინ თესლი უნდა დამუშავდეს დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებებით, მაგალითად რაქსილით და ა.შ. მუხუდო მიეკუთვნება სათოხნ კულტურას, ამის გამო ის ითესება 40-60 სმ-ზე მწკრივებს შორის. მუხოდოს თესლი, როგორც სხვა სამარცვლე პარკოსანი კულტურები გაღვივებისთვის მოითხოვს დიდი რაოდენობით ტენს, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩათესვის სიღრმის დაცვას. ჩათესვის საშუალო სიღრმე არის 4-6 სმ. მსუბუქ ნიადაგებში ჩათესვის სიღრმე იზრდება.

ნათესის მოვლა

მშრალი რეგიონებისათვის ნათესის მოვლა იწყება მოტკეპნით, რომელიც ხელს უწყობს თესლის უფრო სწრაფ და თანაბარ აღმოცენებას. თუ ნათესში გაჩნდა ნიადაგის ქერქი, საჭიროა კბილებიანი ფარცხით ან კულტივატორით ნიადაგის გაფხვიერება. აღმონაცენის გაფხვიერება და თოხნა უნდა ჩატარდეს აღმოცენებიდან 10-15 სმ სიმაღლის მიღწევისას (გათვალისწინებული უნდა იქნას ნათესის დასარეველიანება). შემდგომი ნიადაგის გაფხვიერება უნდა ჩატარდეს საჭიროებისამებრ იმ პერიოდამდე, სანამ კულტივატორი დააზიანებს მცენარის ნამხრევებს.

საქართველოს პირობებში მუხუდოს ნათესი არ მოითხოვს მორწყვას. ის კარგი გვალვა და ყინვა გამძლე კულტურაა.

მუხუდოს მავნებელ-დაავადებები

გარკვეულ კლიმატური პირობების დროს (ზოგჯერ) მუხუდოს მარცვალს აზიანებს ხვატარი (მატლი), ხოლო ყველაზე მძლავრ დაავადებას წარმოადგენს ასკოხიტოზი, რომელიც სწრაფად ვრცელდება (ამ დაავადების განვითარებისათვის ხელშემწყობია ნათესის დასარეველიანება და ნალექები). მუხუდოსათვის საშიშია ნახევრად პარაზიტი სარეველა - აბრეშუმა, რომლის მოსპობა თითქმის შეუძლებელია. აღნიშნულ პარაზიტ სარეველას უნდა ვებრძოლოთ მექანიკური მეთოდით. (მუხუდოს მცენარის ხელით ამოღება პარაზიტთანად ნიადაგიდან).

მოსავლის აღება

მუხუდოს მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს მაშინ, როდესაც მცენარის ღერო, ფოთოლი და პარკები გახმება, ხოლო მარცვალი გამაგრდება. მუხუდოს აღება ხდება კომბაინით ერთ ფაზად, გამოცეხვილი მარცვალი უნდა გაიშალოს ფარდულში, ხოლო გამრობის შემდეგ

გატარდეს გამწმენდ და დამხარისხებელ აგრეგატზე და 14% ტენიანობის დროს ჩაიყაროს ტომრებში და დალაგდეს მღრღნელებისაგან დაცულ და ჰაერაციის მქონე საცავში.